ხელშეკრულება 01-08-15/174-2023-2

ქ. თბილისი, 28 თებერვალი 2023 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ, **სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი** წარმოდგენილი მისი რექტორის დავით გურგენიძის სახით (შემდგომში „დამკვეთი") და მეორეს მხრივ **შპს „ევრომასტერი"** (ს/კ:412670499, შემდგომში „შემსრულებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის პაატა რუსაძის (პ/ნ:60001005614) სახით, ვდებ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში მხარეები შეთანხმდნენ მასზედ რომ, „დამკვეთის" ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობა" სასწავლო კურსით: „საწარმოო პრაქტიკა" (45 სთ), გათვალისწინებული პრაქტიკის მაღალ დონეზე წარმართვის მიზნით, „შემსრულებელთან" შეთანხმებით და წინამდებარე დოკუმენტით შეთანხმებულ ფარგლებში გამოიყენებს „შემსრულებლის" სარგებლობაში არსებულ ბაზას.

1.2 წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ ფარგლებში „შემსრულებელი" კისრულობს ვალდებულებას პრაქტიკის გასატარებლად დოკუმენტის 1.4 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში მიიღოს „დამკვეთის" არაუმეტეს 10 (ათი) სტუდენტი, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით მშენებლობა" გათვალისწინებული სასწავლო კურსით „საწარმოო პრაქტიკა" - ფარგლებში.

1.3 „შემსრულებელი" პრაქტიკანტს/სტუდენტს დაუნიშნავს მენტორს/ზედამხედველს და უზრუნველყოფს პრაქტიკის მაღალ დონეზე ჩატარებას. „შემსრულებლის" სურვილის შემთხვევაში მენტორი დაინიშნება საწარმოს პერსონალიდან, შესაბამისი კვალიფიკაციით. პრაქტიკის დასრულების შემდეგ „შემსრულებელი" თითოეულ სტუდენტზე გასცემს ბეჭდით დამოწმებულ დასკვნა-დახასიათებას.

1.4 წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში და შეთანხმებული პირობებით დამკვეთის სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გაივლიან 15 (თხუთმეტი) კალენდარული კვირის განმავლობაში, 2023 წლის სექტემბრის თვიდან 2024 წლის თებერვლის თვემდე პერიოდში.

2. „დამკვეთის" უფლება-მოვალეობანი

2.1 „დამკვეთი" ვალდებულია სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის ვადები და გრაფიკი შეათანხმოს „შემსრულებელთან" პრაქტიკის ჩატარების დაწყებამდე 10 დღით ადრე.

2.2 „დამკვეთი" უზრუნველყოფს „შემსრულებლის" მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე არსებულ ექსპლუატაციის პირობების სრულ დაცვას. „დამკვეთი" იღებს ვალდებულებას აანაზღაუროს ზიანი „შემსრულებლის" მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პრაქტიკანტების ბრალით დაზიანების შემთხვევაში.

2.3 დამკვეთი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსრულებელს წინამდებარე დოკუმენტის 3.7 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანი სრულად.

2.4 დამკვეთი ვალდებულია შემსრულებლის მიერ საწარმოს ნაწილში არსებული ვაკანსიის შემთხვევაში გაავრცელოს იგი სტუდენტთა შორის, მოიძოს შესაბამისი კადრი, მოახდინოს მსურველთა აღრიცხვა და მიიღოს მონაწილეობა შერჩევის პროცესში.

3. შემსრულებლის უფლება-მოვალეობანი

3.1 შემსრულებელი ვალდებულია პრაქტიკის გასატარებლად მიიღოს დამკვეთის მიერ გაგზავნილი სტუდენტები.

3.2 საწარმოო აუცილებლობიდან გამომდინარე, ან იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი უარს აცხადებს კომპანიაში არსებული სტანდარტების შესაბამისად გაიაროს პრაქტიკა, ანდა სისტემატიურად არღვევს/არ ემორჩილება შემსრულებლის შრომის პირობებს ან უსაფრთხოების წესებს, დამკვეთი უფლებას იტოვებს კონკრეტულ შემთხვევაში უარი თქვას სტუდენტების მიღებაზე/პრაქტიკის გავლაზე, ან და შეწყვიტოს კონკრეტულ სტუდენტთან პრატიკული კურსი და არ დაუშვას იგი მის ტერიტორიზე.

3.3 „შემსრულებელი" ვალდებულია, შერჩეულ სტუდენტებს გააცნოს ობიექტის შინაგანაწესი და უსაფრთხოების დაცვის წესები.

3.4 „შემსრულებელი" ვალდებულია პრაქტიკის პერიოდში გამოყოს პასუხისმგებელი პირი (მენტორი).

3.5 შემსრულებელი ვალდებულია მის კომპეტენციას მიკუთვნებული პრაქტიკული სწავლების შედეგების მიღწევაში (შესაძლებლობის ფარგლებში).

3.6 ყოველგვარი ბუნდოვანების გამოსარიცხად, წინამდებარე მემორანდუმით დადგენილი ვალდებულებები არ გულისხმობს შემსრულებლის ვალდებულებას სტუდენტების შემდგომ დასაქმებასთან დაკავშირებით.

3.7 შემსრულებელი უფლებამოსილია მოთხოვოს დამკვეთსა და მის სტუდენტებს (ხოლო ეს უკანასკნელნი თავი მხრივ იღებენ ვალდებულებას) წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა. აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დამკვეთი და სტუდენტი ვალდებულნი არიან აუნაზღაურონ შემსრულებელს მიყენებული ზიანი სრულად.

3.8 შემსრულებელი უფლებამოსილია პრაქტიკული კურსის დასრულების შემდგომ ნებისმიერ დროს გაუკეთოს სტუდენტს დასაქმების შეთავაზება.

3.9 შემსრულებელი იღებს პასუხისმგებლობას სტუდენტების საინტერესო იდეის განხორციელებისთვის უანგაროდ დაუფინანსოს წარმოებაში მოდელის შექმნა მასალებით და მომავალში მარკეტინგული ხედვით დაურეგისტრიროს იდეა პატენტის უზრუნველყოფით.

4.ფორს-მაჟორი

4.1 თოთოეული მხარე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთალიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობიდან თავისუფლდება, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორული გარემოებები) ან მეორე მხარის ბრალის შედეგად.

4.2 დაუძლეველ ძალად მიიჩნება ისეთი ფაქტის ან გარემოების არსებობა, რის გამოც ხელშეკრულების მხარე ვერ ასრულებს ვალდებულებას, კერძოდ:

4.2.1 ხანძარი და აფეთქება, წყალდიდობა, სტქიური უბედურება;

4.2.2 სამხედრო მოქმედება, აჯანყება, სამოქალაქო ომი;

4.3 ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და ძალაშია მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

5.2 ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეიძლება შეწყდეს:

ა) დამკვეთის ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში;

ბ) მხარეთა შეთანხმებით;

გ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში და დადგენილი წესის შესაბამისად.

5.3 საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

5.4 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

5.5 მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.6 იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის წარმოშობილი დავის და უთანხმოების მოგვარება შეუძლებელია მოლაპარაკების გზით, მისი გადაწყვეტა ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.7 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად.

6. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსრულებელი“	„დამკვეთი“
შპს „ევრომასტერი“ ს/კ:412670499 მის: ქ. თბილისი, ა. ბელიაშვილის ქ. N 132. ქ. თბილისი, ბ. ჭიჭინაძის ქ. N10. დირექტორი პაატა რუსაძე	სსიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“ ს.კ 211349192 მისამართი: ქ.თბილისი, 0160, კოსტავას ქ.№77 რექტორი: დავით გურგენიძე .....

EUROMASTER LTD • 412670499 • ევრომასტერი

LEPL GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY • 211349192 • საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი